# სახალხო გაზეთი

№ 609 კვირა, 27 მაისი, 1912 წ. № 609

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკაია ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ეროვნული ბიბლიოთეკა


27 მაისს, 1912 წ., კვირას, „ახალ კლუბის“ ბაღში (ქართულ თეატრთან),

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება **დიდი სეირნობა** გაიმართება

შემდეგის პროგრამით: ამერიკული ბაზარი, ფოსტა. პტი—შვო. ყვავილები. რგოლების სროლა. კონფეტტი. დაუშრეტელი ყანწი. საბედო ბავშვებისთვის ბუფეტი. გასაღები: საჩუქრები. დედოფალა. ფუტბოლის ბურთი. Ca'e-concert. სინემატოგრაფი. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი. ფასი: ბავშვებისა და მოწაფეთათვის 15 კ., დიდებისთვის 30 კაპ. დასაწყისი 4 საათზე. (0.1254.13)

---

ქუთაისის საადგილ-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი თანამოსამსახურე

**ფეოფანე სპირიდონის ძე გიორგობიანი.**

ვთხოვთ ნაცნობებსა და მეგობრებს პატივი სცენ განსვენებულის ხსოვნას და დაკრძალვას დაესწრნენ კვირას, 27 მაისს. (2.1292.2)

---

**სოფიო გრიგოლის ასული გიორგობიანისა, ვასილ და გრიგოლ სპირიდონის ძენი გიორგობიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველი—უსაყვარლესის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის ძმის

**ფეოფანე სპირიდონის ძე გიორგობიანისას**

რომლის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 29 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ფერმის ქ., ბ. გიორგობიანის სახლი, ჯაჭვის ხიდთან. (2—1293—1)

---

დღეს, 11 საათზე, წირვის შემდეგ, ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის

**მიხეილ დავითის ძის აბაზაძის**

სულის მოსახსენებლად, რომელიც გარდაიცვალა ნიკოლაევის საკატორღო საპყრობილეში ამ წლის აპრილის 18, სადაც იგი ოთხის წლით იყო გაგზავნილი, რასაც განუსაზღვრელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მამიდაშვილი **ლევან როსტომის ძე**, დეიდა **ევა მიხეილის ასული კობახიძეები** და დაობლებული შვილები: **ელიჩკა, დათიკო, ტიტიკო და შუშკა.** (1.15.1)

---

24 მაისს, ხანგრძლივ ავადმყოფობის (ქარებისა და წყალმანკისა) შემდეგ გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული (80 წელს გადაცილებული)

**ქართველი კათოლიკე მღვდელი ივანე გვარამაძე,**

**(ქართულ მწერლობაში ცნობილი „ვინმე მესხი“),**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა განსვენებულის შვილები: **ქრისტესია, კონსტანტინე და ოქროპირი გვარამაძეები,** ასული **თამარა** და სიძე, **ფლორენცია მაისურაძენი,** რძლები: **ეფემია, მარიამ და თამარა გვარამაძეებისა.** ცხედრის დაკრძალვა მოხდა 26 მაისს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში. (1—1294—1)

---

## ახალი კლუბი

**სამშაბათს, 29 მაისს,**

**მეექვსე სიმფონიური საღამო.**

მონაწილეობას მიიღებს სკრიპკაზე დამკვრელი სოლისტკა **თ. მ. ძნელაძისა** და სიმფონიური ორკესტრი, 40 კაცისაგან შემდგარი, **ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით.

შესრულებულ იქნება: სიმფონია (*Inolle*, კალინნიკოვისა, კონცერტი სკრიპკისათვის ორკესტრით მენდელსონისა; სიუიტა „Arlasinue“, ბიზესი და „ოქროს მამალი“, რიმსკი-კორსაკოვისა. **დასაწყ. საღ. 9 ს.**

სტუმრები იხდიან: კაცები 50 კ., ქალები და სტუდ. 25 კ. 3.[illegible]24[illegible].2

---

## ახალი კლუბი

კვირას, 27 მაისს 1912 წ., კლუბის შენობაში დანიშნულია

**საგანგებო საზოგადო კრება კლუბის წევრთა.**

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. გადასინჯვა კლუბის წესდებისა; 2. ზამთრის შენობის აგების შესახებ; 3. გადასინჯვა 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა; 4. სამუდამო წევრთა მიღება.

დასაწყისი კრებისა დღის 12 საათზე. (4—1241—4)

---

## ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი

**კვირას, დილით 27 მაისს, 1912 წ.**

**ტფილისის ქართული მომღერალ-მგალობელთა**

**გუნდი**

**მიხეილ კავსაძის ლოტბარობით**

ჰმართავს

**„ქართულ კონცერტს“**

**ლექციით.**

გუნდი **ძმათა ანდ. და ნიკ. კავსაძეების** მონაწილეობით 40 კაცისაგან შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებში და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი შეასრულებს ხალხურ სიმღერებს.

კონცერტის წინად სტუდენტი **ივანე ნასიძე** წაიკითხავს ლექციას:

**„მეცნიერება და ხელოვნება“**

**ბილეთების ფასი 5—50 კ.** გამგე: **ნოე ლეჟავა.**

**დაწვრილებით პროგრამებში.** მორიგი წევრი: **ნიკ. კავსაძე.**

**დასაწყისი სრულ $12^{1/2}$ ს.** (3.483.3)

---

## თეატრი „მოდერნი,“ მიხეილის პრ., 91. დღეს მეორე დღე

**ფრანგულ ჭიდაობის** საერთაშორისო ჩემპიონატისა, რომელიც გამართულია რუსეთში ცნობილ **პეტრე დანიელის ძე იაროსლავცევის** ხელმძღვანელობით. ჭიდაობა სურათების ყოველ სეანსის შემდეგ. (1.1298.1)

---

**ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,** ქუთაისში

ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები. კეროსინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური. სოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, დოშაკები, კედლისა და პაპიროსების სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრამოფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პარომოიკი) ახალის სისტემისა და საეკლესიო მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა გვაქვს წარმომადგენლობა: **საწერ. მანქანა „ტორპედოსი“.** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ.1236.9)

---

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—98)

---

## სახაზინო თეატრი

**ორშაბათს, 28 მაისს,**

**დანიშნულია მხოლოდ ერთი კონცერტი** სამხატვრო კაპელის ცნობილ კომპოზიტორის

**ვასილ გრიგორის ძე ზაჰადსკისა.**

შეასრულებენ გუნდის სამღერ ნაწარმოებს: ჩაიკოვსკისა, რიმსკი-კორსაკოვისა, რუბინშტეინისა, ჰუნო, გრეჩანინოვისა, აბატისა, ჩესნოკოვისა და სხვა კომპოზიტორთა.

**გუნდში 40 კაცია.** დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—474—2) რწმუნებული **ე. პ. ჩაროვისა.**

---

## სამშაბათს, 29 მაისიდან ქუთაისში

## კვლავ გამოვა

ქართული ყოველ-დღიური გაზეთი

## „კოლხიდა“. (3.1295.1)

---

დაარსებულია 1904 წ. **სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი** მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

**ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა**

**პატარა ცემი**

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე, დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ლამბაშიძეს, ქ. ტფილისს.**

**მიიღება** დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭლექის ციებით დაავადმყოფებულნი. **არ მიიღება** სიჭლექით დაავადმყოფებულნი, (25.1291.3)

---

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

**ყურადღება მიაქციონ**

**ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## „ირის“,

25 ცალი 15 კ. და 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,**

ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

## „ძმ. სეილანოვები“

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.49)

---

გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ!

საუკეთესო ღირსების, ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში მოწონებული, **ნადული წყალი მომზადებული პურის კვასი**

## გემო

**ვერა ბელინსკის ქ., № 13.**

მზადდება პირველ ხარისხოვან მასალისაგან; სისუფთავე ყოველის მხრით დაცულია. გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ და არ აურიოთ **„ჩვენი გემოს“**, რომლის სახელი და ეტიკეტი დამსგავსებულია **„გემოს“** ეტიკეტთან. „ჩვენი გემოს“ მიერ გავრცელებული ხმა ვითომ ფირმა „გემო“ გაუქმებულია—ტყუილია. ფირმა **„გემო“** ისევ არსებობს და არსებობს იმავე სახელით და იმავე ალაგას. (2.1296.1)

გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ!


გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ!
გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ!


---

ქუთაისი

## ქუთაისში რკინეულობის სავაჭრო

**სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.8) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი


ქუთაისი
ქუთაისი


---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფობა | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^{1/2}$—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^{1/2}$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული) | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^{1/2}$—$12^{1/2}$. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო ქალ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^{1/2}$—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^{1/2}$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. ფსიქ. ავადმ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^{1/2}$—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^{1/2}$—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^{1/2}$. |
| კან. ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^{1/2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—344)

---

## ტფილისის კანტორა

**პრობკის მრეწველობის სააქციონერ. საზოგადოებისა**

## ვიკანდერ და ლარსონ,

**გოლოვინის პრ., № 9. — ტელეფონი № 490.**

**ლიბავის ლინოლეუმი**

**საუკეთესო იატაკის მოსაფენად.**

**სამაგიდო კლეონკა,**

**პრობკები,**

**კაპსულები.**

(4.1264.3)

---

შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.**

**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ♦ **თელავში—თამარა აბაშიძესთან.**

**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** ♦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**

**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ♦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**

**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** ♦ **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**

**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** ♦ **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.**

**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

# ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

იწვევს გუბერნიის თავად-აზნაურობას თავად-აზნაურთა **ჩვეულებრივ საგუბერნიო კრებაზე**, რომელიც დანიშნულია 27 მაისს, დილის 9 საათზე სათავად-აზნაურო თეატრის საზამთრო დარბაზში. (2. 1282.2)

---

3 ივნისს, კვირას, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია

## წლიური კრება ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოებისა.

განსახილველია:

1. 1911 წლის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1911 წ. ანგარიშის შესახებ.
3. გამგეობის მოხსენება 1911 წლის საზოგადო კრების დავალებათა შესახებ.
4. გამგეობის მოხსენებანი: შესახებ სოხუმის განყოფილებისათვის სესხისა და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა.
5. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1912 წლისა.
6. ახალი წევრების მიღება. (3 - 1285—2)


## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება დრამატიული თხზულებანი:**

ადამიანის ცხოვრება თარგ. ფ. 50 კ.
ბედმა მილალატა. კ. 3 მოქ. „ 20 „
ბრძოლა არსებობისათვის. დრ. პოემა, გაბრ. . „ 60 „
გაყრა, გ. ერისთავისა . „ 5 „
გამცემი. დრ. 3 მოქ. გედ. „ 25 „
გაღატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ. „ 10 „
დემონი. ოპერეტ. . . „ 50 „
დარბეულნი. დრ. 4 მოქ. „ 30 „
დრამ. თხზ. დ. ერისთავისა „ 1 მ. — „
დილი. დრ. 3 მოქ. . . „ 20 „
დრამ. დ კომ., „სორაპ“ გამ. „ 1 მ.— „
დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ხანუმა, მშვენიერი ელენეს მაძიებ., ოინბაზი . . „ 50 „
ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ. „ 35 „
თანამედროვე პიესები ს. ტარ.: კოცნა პირვ. დ უკანასკ., ფეხთა მეფე, მწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი. „ 30 „
ილიას დღე ქიათ. დ ბატ. დ ყმა 20 „
კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ. 50 „
მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ. „ 15 „
მტარვლის ბედი. დრ. მოქ. „ 10 „
მეგობრობა. დრ. 4 მოქ. „ 30 „
მეზობლები. ტრ. რ. 4 მოქ. „ 40 „
მოლიერი. დრ. თხზ. . . „ 50 „
მარო. დრამის ნაწყვ. . „ 3 „
მიჯაჭული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია. . . . „ 50 „
მეორე კაენი. დრ. 3 მოქ. „ 30 „
მაკბეტი. ნათ. ი. მაჩაბლისა „ 40 „
ნაძირალნი. გორკისა 4 მ. „ 25 „
ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ. „ 40 „
ორი პიესა. ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან. „ 25 „
ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი მეფობენ. „ 50 „
ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ. „ 40 „
პანთეონი ქართ. თ.: იქვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია. . „ 30 „
რიჩარდ. . . . . . „ 40 „
საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ. „ 25 „
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. კომ. 1 მოქ. . . „ 10 „
სამშობლოს ბრუჯნი . „ 10 „
საშეგრ. მთ. ლევან ვ. ყიფ. „ 40 „
უმარილის ბრალია. კ. 3 მ. „ 10 „
ფიქრები. დრ. 5 მოქ. . „ 50 „
ქრისტინე. დრ. 5 მოქ. . „ 20 „
ქართული პიესები: უშნო არშიყი, სოფიო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან. „ 20 „
ღალატი. ნათ. ყიფშიძისა „ 50 „
ღალატი. ნათ. ნ. ავალ. 1 25 „
ღალატი. ნათ. კ. მესხისა „ 25 „
ცოლი ვიტირო თუ ფული!? „ 15 „
შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ. 30 „
წყურვილი. დრ. 3 მოქ. „ 30 „

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.51)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**პროფ. სუბბოტინი.** ქირურგ. ავად. კონსულტანტი, დამსახ. პროფ. სამხ. აკად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** შინაგ. და ჰიპნ. 4—5 ს. ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1234—9).



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა 606 -**

(წლ.—1018—274)



## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 304)



**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნებისა, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგ. დების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 182. (თ. 1017 170)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67. სახლი სანიშვილისა

**ექიმი კბილისა ნიკო რუხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი მ. ზავშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 7—ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ ა საათ. კახეთის ქ., № 1

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. ბანიშვილისა (წ

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის 1 № 20. (წ—1022- 26).

**ექიმი კბილისა ა. (გ.) ბ. დოლიძე**

**გადავიდა ნაძალადევში** (რკ. გზ. ხიდთან ჩერქეზოვისა და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში № 145). სწამლობს კბილისა და ღრძილის ავადმყოფობას, აკეთებს პლომბებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს, **დილის 8—2** —მდე და **საღამოს 4—7 ს.** (თ.1179.38)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.114

**ექიმი ი. ი. ზერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ.. № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—43)

**ექიმი ივ. გომართელი** მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.5.)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mntlι...-ის სპეციალურ კლინიკიდან, ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—160).


## ნარკვევი

მკითხველს კარგად მოეხსენება, თუ რამდენი ტრევა და უბედურება განიცადა კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსების საკითხმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლისთვის საჭირო საარსებო თანხა უკვე გამონახულია, ჯერაც ვერ ეღირსა საბოლოოდ გადაწყვეტას.

ამავე საკითხს ეხება „ნოვოე ვრემიაში ა. სტოლიპინი:

„ამ საკითხს კარგა ხანია იხილვენ და საუწყებათაშორისო თათბირზე, როგორც ამბობენ, მის წინააღმდეგ გაილაშქრა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ზუევმა. მისი აზრით კავკასიის უნივერსიტეტი იქაური რევოლუციის კერად გადაიქცევა და აი სწორედ ამ აზრმა შეაფერხა საკითხის მალე გადაწყვეტა.

მე მგონია, რომ არავის შეუძლიან, თუნდ გადაკვრითაც კი, დამწამოს საზიზღარი რევოლუციისა და მისი პირმშო შვილის —ტერორის თანაგრძნობა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, განა იმის გამო, რომ რევოლუციის ნიჭიერი მქადაგებელნი ახერხებენ ახალგაზრდობის გადაბირებას და რეგვენი მოწინააღმდეგენი კი ვერა, უნდა ჩაჰქრეს ლამპარი განათლებისა? მე იმდენად მწამს სახელმწიფოებრივი ძლიერება რუსეთისა, დიდება და სიწმინდე რუსის ხალხის იდეალებისა, რომ, როცა გარეგანი წესიერების დასაცველად, რაღაც ორიოდე დღის მქრალი ოფიციალური მყუდროებისათვის, რომელიც სასაფლაოს მდუმარებას უფრო ჰგავს, მიმართავენ ხოლმე ისეთ საშუალებას, რაც ბალიშის პირში ჩაჩრას მოგვაგონებს, მე ყოველთვის სასოწარკვეთილებაში ვვარდები.

შეეფერება განა ეს რუსეთს— დიდ რუსეთს? უნივერსიტეტებში მღელვარებაა. მერე თქვენ განა იმისთვის არ გაქვთ ძალა, უფლება და ფული, რომ შეჰქმნათ ისეთი უნივერსიტეტები, სადაც კი არ იამბოხებენ, არამედ თავდავიწყებამდი დაეწაფებიან მეცნიერებას!..“

შემდეგ სტოლიპინი ტკბილ ქათინაურებს მიუძღვნის ჩვენს ქვეყანას, რომელიც „ობოლი მარგალიტია“ რუსეთის გვირგვინისა და ასე ათავებს თავის წერილს:

„პატარა კუთხე უზარმაზარი სახელმწიფოებრივი სურათისა განათებულია პოლიციის დეპარტამენტის ჯიბის ფარნით. ბატონნო, დამცველნო და ჟანდარმებო, გზა მიეცით რუსეთს მას სურს წინსვლა“...

ოლონდაც! დაუმატებთ ჩვენ. მაგრამ მიუხედავად ისეთი დიდი ქომაგობისა, როგორსაც გვიწევს ბ. სტოლიპინი, კავკასიის უნივერსიტეტის საკითხს კიდევ ბევრი „დამაბრკოლებელი მიზეზი“ გამოუჩნდება. „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტ“-ში ნ. დურნოვო სწერს:

„ჩვენ გვწერენ ტფილისიდან, რომ საქართველოს ეგზარხოსმა კირ-ინოკენტიმ აღუკრძალა ქართველ ეპისკოპოსს დავითს სამწყოსთან გამოთხოვება და ნება არ დართო მღვდელ მოქმედებისა ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დღეს.

ვურჩევთ დიდად პატივცემულ ვლ. კ. საბლერს მიაქციოს ამას ყურადღება. რისთვის აყენებენ დაუმსახურებელ შეურაცყოფას ქართველ ეპისკოპოსსა და სამწყსოს?

როდის და მოეღება ამას ბოლო?“

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სეირნობა ქ. შ. წ. კ. საზოგადოების სასარგებლოდ.** მოვაგონებთ მკითხველთა, რომ დღეს „ახალ კლუბის“ ბაღში დიდი სეირნობა გაიმართება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. პროგრამა მრავალ მხრივი და საინტერესოა. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი. დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე. შესასვლელი ფასი: დიდებისთვ ს-30 კაპ. ხოლო მოწაფეთა და ბავშვებისათვის-15 კაპ.

✦ **ტფილისის უნივერსიტეტი.** მინისტრთა საბჭოს კრებას, რომელზედაც განხილულ იქმნა ტფილისის უნივერსიტეტის საკითხი, ნამესტნიკი და მისი მოადგილეც დაესწრო. საკითხი, საბოლოოდ ვერ გადაწყდა, რადგანაც მინისტრთა შორის უთანხმოება მოხდა. ნამესტნიკმა პოლიტეხნიკუმის დაარსება მოითხოვა. მას მიემხრნენ შემდეგი მინისტრები: ვ. ნ. კოკოვცევი, ს. დ. საზონოვი, ვ. კ. საბლერი, და ი. კ. გრიგოროვიჩი. დანარჩენი მინისტრები წინადადების წინააღმდეგ წავიდნენ. თუ უმცირესობის აზრს ხელმწიფე დაამტკიცებს, მაშინ საკითხი ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ დაუყოვნებლივ, საკანონმდებლო დაწესებულებათ გადაეცემა.

✦ **საქართველოს ექსარხოსი** ინოკენტი 25 მაისს, საღამოს, კახეთიდან დაბრუნდა.

✦ **მეცხვარეობის შესასწავლად** ამ ზაფხულს კავკასიაში იგზავნება კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის პროფ. ბელგუტსკი.

✦ ქალაქის გამგეობასთან **მატერიალური განყოფილების** დაარსების თაობაზე ქალაქის გამგეობამ ცალკე მოხსენება შეადგინა და საფინანსო, სამეურნეო და სარევიზიო კომისიების დასკვნით ქალაქის საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

✦ **პოლიციელის ძაღლების გამოცდა.** 25 მაისს დიდუბის საჯირითო მოედანზე გამოსცადეს პოლიციელი ძაღლები, რომელნიც გაწვრთნეს ტფილისში ახლად დაარსებულ ძაღლების გასაწვრთნელ სკოლაში. გამოსცადეს 10 ძაღლი. ძაღლები რიგიანად გაწვრთნილნი აღმოჩნდნენ.

✦ **მიწის ძვრა.** 25 მაისს, ნაშუადღევის 4 საათსა და 17 წამს ტფილისში მიწა საგრძნობლად იძრა.

✦ **მედიცინის დოქტორის ხარისხის მიღება.** როგორც გვატყობინებენ, 17 მაისს პეტერბურგის სამხედრო სამედიცო აკადემიაში ქიათურ ს საავადმყოფოს ქირურგს გ. მუხაძეს დისერტაცია დაუცავს მედიცინის დოქტორის ხარისხის მისაღებად. ბანი მუხაძე პეტერბურგიდან ქიათურაში უკვე დაბრუნებულა და 1 ივნისიდან ავადმყოფების მიღებას განაახლებს.

✦ **ფრენა** დღეს, საღამოს. 5 საათზე, დიდუბის საჯირითო მოედანზე ფრენა გაიმართება. ცნობილი პილოტი-ავიატორი გაფრინდება „გრადე“-ს კონსტრუქციის მონოპლანზე ავიატორი აგრეთვე აჩვენებს ხალხს თავის კონსტრუქციის აპარატს, რომლის შემწეობითაც შეიძლება ყუმბარების სროლა,

✦ **პუშკინის სახსოვრად.** დღეს, 12 საათზე, წურინოვის სახლს (რომლის ადგილასაც იდგა სახლი, სადაც ა. ს. პუშკინი სცხოვრობდა) მარმარილოს ფიცარს მიაკრავენ. ამ დღესასწაულს დაესწრებიან პუშკინის სახელობის სამის სკოლის მოსწავლენი, რომელნიც ბოლოს თავს მოიყრიან პუშკინის ბაღში და დიდებულ პოეტის ძეგლს გვირგვინით შეამკობენ.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ დღეს, 27 მაისს, დილის 11 საათზე დანიშნულია **საზოგადო კრება „ტფილისის სამარხ კასის საზოგადოებისა“.** კრება განიხილავს 1911 წ. ანგარიშს, აარჩევს გამგეობის ერთ წევრს, სარევიზიო კომისიის წევრებსა და მათ ნაცვლებს, განიხილავს 1912 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას და სხვა. როგორც რევიზიის კომისიის ანგარიშიდანა სჩანს 1911 წ. 1 იანვრიდან 1912 წ. 1 იანვრამდე საზოგადოებას შემოსვლია 760 მ. 78 კ. წინაწლისა ჰქონიათ დარჩენილი 1178 მ. 9 კ. სულ 1938 მ. 87 კ. ამავე წნის განმავლობაში გაუციათ დახმარება 671 მ. სხვა და სხვა საჭიროებაზე დახარჯულა 168 მ. 80 კ. რჩება 1099 მ. 7 კ. აქედან 1067 მ. 99 კ. სამეურნეო ბანკში ინახება, (სანგარიშო წიგნი № 311) ხოლო ხაზინადრის ხელშია 31 მ. 8 კ.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრებას, რომელიც ოთხშაბათს 28 მაისისათვის არის დანიშნული, 11 საქმე აქვს განსახილველი. ამათში ორი ისეთი საქმეა, რომელთა განსახილველად საჭიროა დასწრება არა ნაკლებ 40 ხმოსნისა.

✦ **ქალაქის საბჭოს** საფინანსო კომისიას სამშაბათს, 29 მაისს, საღამოს 8 საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში კრება აქვს იმ მოხსენებათა განსახილველად, რომელნიც მომავალ კვირას ქალაქის საბჭომ უნდა განიხილოს.

✦ **საბავშვო ბაღის დამაარსებელ მშობელთა წრის კრება.** 23 მაისს მორიგი კრება ჰქონდა მშობელთა წრეს საბავშვო ბაღის საქმეთა განსახილველად. კრებამ მოისმინა მასწავლებელთა მიერ შედგენილი წლიური ანგარიში და მადლობა გამოუცხადა მასწავლებლებს, რომლებმაც, მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზების მიუხედავად, ბავშვებს შეაყვარეს სწავლა-საქმიანობა, განუვითარეს ცნობის მოყვარეობა, ყურადღება და სხ. შემდეგ კრებამ იქონია თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყოს მომავალ სამოსწავლო წელს სწავლის საქმე და გადასწყვიტა, საბავშვო ბაღს მიუმატოს კიდევ ერთი განყოფილება საბავშვო ბაღის თავისუფალ პრინციპებზე დაფუძნებული, სადაც შეასწავლიან ბავშვებს წერა-კითხვას, ანგარიშს, სამშობლოს და ბუნების აღწერას და სხ. რადგანაც ქ-ნი ანასტასია გედევანიშვილი, რომლის სახელით იყო საბავშვო ბაღის გახსნის ნებართვა აღებული, ამ ბაღის გამგე კომიტეტიდან გავიდა მშობელთა კრებამ დაადასტურა კომიტეტის გადაწყვეტილება აიღოს ნებართვა სხვის სახელზე და გაანთავისუფლოს ქ-ნი გედევანიშვილი. შემდეგ კრებამ დაადგინა წაიყვანოს 25 მაისს ბავშვები გასასეირნებლად მცხეთაში და 27 მაისს დაითხოვს საზაფხულოდ. სწავლა დაიწყოს სექტემბრიდან ისევ სათ. აზ. გიმნაზიის შენობაში, რომელიც ამ ორი წლის წინად დაუთმო მშობელთა წრეს, გიმნაზიის გამგე კომიტეტმა.

### სასწავლებლებში

✦ **სტიპენდიები.** თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ დაადგინა, 6 სტიპენდია (თითო 150 მან,) დაარსოს საბალოსნო სასწავლებელში. ეს დადგენილება თავადაზნაურთა მორიგ კრებას წარედგინება დასამტკიცებლად.

✦ **საპოლიტეხნიკო კურსების** დამაარსებელთა მიერ არჩეულ საგანგებო მცირე კომისიას დღეს, დილის 11 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექნება კურსების წესდების საბოლოოდ შესამუშავებლად.

✦ ნ. ვ. აბრამიანის **საბუჰგალტერო კურსები** წელს 123 მსმენელმა გაათავა. ამათში 19 რუსია, 21, ქართველი, 62 სომეხი, 8 თათარი და 13 სხვა და სხვა ეროვნებისა. კურსები დაარსებიდან დღემდე სულ 1,028 მსმენელმა გაათავა.

### სასამართლო.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია.** სურამს გაემგზავრა, სადაც საქმეთა გასარჩევად 31 მაისამდე დაჰყოფს.

### ქუთაისი.

✦ რადგანაც 13 მაისს ქუთაისის **საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა კრებას** საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, ზოგიერთი სერიოზული საკითხის განხილვა, როგორიცაა: საზოგადოების მამულის გაყიდვა, საზოგადოების კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები გადაიდო 27 მაისისათვის. კრება მოხდება ქალაქის გამგეობის დარბაზში დღის 12 საათზე. ამ კრებას მოხსენდება წარსულ კრებაზე არჩეულ საგანგებო კომისიის მოსაზრება მამულის გაყიდვის შესახებ. კომისიაში არჩეულია: ბართლომე მოსეშვილი, პეტრე გოცეძე და აროშ რიჟინაშვილი. როგორც გადმოგვცეს ხსენებული კომისია იმ აზრისაა, რომ ადგილი ... ... სამოსახლოებათ დაიყოს, ... ... იქნეს გაყვანილი ... ... გაყიდოს.

✦ 20 მაისს **სახალხო უნივერსიტეტის** სასარგებლოდ ქალაქის ბაღში გამართული სეირნობიდან 600 მანეთამდე შემოსულა.

✦ 27 მაისს ქალაქის ბაღში გაიმართება **სეირნობა** ღარიბი სტუდენტების დამხმარე საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად.

✦ 29 მაისს კვლავ **გამოვა** მთავრობის განკარგულებით შეჩერებული გაზეთი **„კოლხიდა“.**

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი სხდომა დანიშნულია 28 მაისისათვის, განსახილველად შეტანილია სიაში 35 საქმე.

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ივნისის პირველ რიცხვებში ქუთაისს ეწვევა ცნობილი **ლექტორი გრიგოლ რობაქიძე,** რომელიც **ქართულად** წაიკითხავს ლექციას „ხელოვნება და სინამდვილე“. ეს ლექცია მან ტფილისში წაიკითხა რუსულად და, როგორც გაზეთებმა ერთხმად აღნიშნეს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ლექცია დაინიშნება 9 ან 10 ივნისისათვის ქალაქის თეატრში.

✦ 22 მაისს ქალაქის თეატრში ქუთაისის ქართველ მომღერალთა საზოგადოების გუნდის მიერ გამართულ **კონცერტს** დიდძალი საზოგადოება დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ ფასები ძლიერ გადიდებული იყო, გუნდში 50-ზე მეტი მომღერალი ქალ-ვაჟი იღებდა მონაწილეობას. მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა ახალს ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი მომღერალთა გუნდი. საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. შესრულებულ იქმნა 25-ზე მეტი სიმღერა. ბევრმა ამათგანმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და „ბის“-ებს საზღვარი არ ქონდა.

✦ **ქალაქის გამგეობას** მოლაპარაკება გაუმართავს საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობასთან საზოგადოების მამულის შეძენის შესახებ.

### ახალქალაქი.

✦ **მიწის ძვრა.** ახალქალაქში 5 საათსა და 30 წუთზე ძლიერი მიწის ძვრა იყო. არავინ დაშავებულა.

### გუმბრი.

✦ 25 მაისს ქ. გუმბრში ნაშუადღევის 4 საათზე და 15 წუთზე **მიწა საშინლად იძრა.** მცხოვრებნი სახლიდან გულგახეთქილები კარში გამოცვივდნენ.

**შეცდომის გასწორება.**

მე-582-ე №-ში, სადაც ვ. ვაზიანის ფელეტონი იყო დაბეჭდილი, ფრიად საწუხარო კორექტორული შეცდომა შეპარულა. ფელეტონის პირველ სვეტში დაბეჭდილია: „მე მაქვს დამატება“. უნდა იყოს: მას (ე. ი. წიგნს) აქვს დამატება“. კორექტორული შეცდომის წყალობით ეს ადგილი ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს „ვეფხის-ტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანთან მოთავსებული იყოს ბ-ნ ვ. ვაზიანის დამატება. ნამდვილად კი ტექსტში მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანს თან ახლავს დამატება. ვსთხოვთ იმ გაზეთებს, რომლებმაც შეცდომით გადაბეჭდეს ჩვენი გაზეთიდან ცნობა, ეს შესწორებაც გადაბეჭდონ.

## ჟურნალისტის დღიური,

66.

**სერა-კითხვის საზოგადოების სეირნობა.**

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დღეს სეირნობასა ჰმართავს „ახალ კლუბის“ ბაღში. წერა-კითხვის საზოგადოება დიდი ხანია ქართველ ხალხის საკულტურო ცენტრადაა გადაქცეული. იგი დაიბადა იმ დროს, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ახლად იდგამდა ფესვებს. მთელი თავისი სასოება ქართველმა საზოგადოებამ ამ საკულტურო დაწესებულებას ჩააწნა, ყველას გულის ყური იმისკენ იყო მიქცეული. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ყოველს კულტურულ საქმეს საზოგადოებრივი აზრი ამ დაწესებულებას ახვევდა თავზე. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ ქართველი ქველმოქმედნი საკმაოდ დიდს თანხებს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება-

სა სწირავდნენ და დღესაც მასა სწირავენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყველაზე პოპულიარული და საყვარელი დაწესებულებაა. დღეს მის ხელში ბლომად თანხებია მოგროვილი, მაგრამ თითქმის ყველა მათ საგანგებო დანიშნულება აქვთ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას კი მრავალი ისეთი საქმე აქვს, რომელთა დასაკმაყოფილებლად საჭიროა თავისუფალი თანხა. ეს თანხა შესდგება ხოლმე საწევრო გადასახადიდან და სხვა და სხვა კონცერტებსა თუ სეირნობიდან შემოსულ ფულით. ამიტომ საზოგადოებაც განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს კონცერტს, ან სეირნობას, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მართავს. უნდა ახსოვდეს, რომ თვითოეულ ქართველის მიერ გაღებული წვლილი მოხმარდება ან სკოლას, ან ბიბლიოთეკას, ან სხვა ამ გვარ საკულტურო საქმეს.

ქართველი საზოგადოება, იმედია, არც დღეს დაივიწყებს თავის მოვალეობას, მივა სეირნობაზე და თავისი წვლილის გადახდით დაეხმარება ქართულ სკოლას, ქართულ ბიბლიოთეკას და მრავალ სხვა ქართულ საკულტურო საქმეს. **შინაური.**

## ქუთაისის ქართველ მომღერალთა კონცერტზე

დავესწარი ქუთაისის ქართველ მომღერალთა კონცერტს... დავესწარი და... გულმა რაღაც შვება იგრძნო, იგი აღფრთოვანდა იმედით, რომელიც ჩემს სამშობლოსთან, ჩემს მამულთანა და მიწა-წყალთანაა დაკავშირებული.

რა განძია, რა საუნჯეა ჩვენთვის, ჩვენს გადაგვარებულ დროში, მოსმენა ქართული ეროვნული ჰანგისა, ეროვნულ მუსიკისა?

მეც გავფრინდი შორს, წარსულ დროს სივრცეში, სადაც ხმა გმირული, ქართველური მამულიშვილის მკლავს ჰმატებდა ძალას, რომელიც მამულის მტერთა და ორგულთა გამანადგურებელი იყო.

დავესწარი ქართველ მომღერალთა კონცერტს და... ნაწყენი დავრჩი, ნაწყენი იმით, რომ კილო ზოგჯერ არა ხალისი ქართველური იყო.

ვიფიქრე: აქაც გადაგვარება-მეთქი!

მუსიკა მსოფლიოს უფრო ეკუთვნის ვიდრე რომელიმე ეროვნებას, მაგრამ... დიახ, რომ ცუდია, როცა კილო ყალბია და იმას, რაც სავსებით ქართული არაა—ქართულ განძად გვაწვდიან...

ან კი რა დროს დეფექტებზე ლაპარაკის დროა. როცა ამ ჟამად ზოგს ამის გაკეთებაც არა ჰსურს და ხომ მოგეხსენებათ:

„ცალი ხარი სულ არაობას სჯობიაო". მადლობა ძმ. შარაბიძეთ, რომელთა ლოტბარობით მიიწევს წინ მომღერალთა გუნდი; მადლობა ქართველ მომღერლებს, რომელნიც გონებრივადაც და ქონებრივადაც ხელს უწყობს ეროვნულ მუსიკის აყვავებას; მადლობა ბ-ნ გ. თუთბერიძეს, რომლის ტკბილმა ხმამ საზოგადოება ამ საღამოს აღტაცებაში მოიყვანა...

მადლობა ქუთაისის საზოგადოებას, რომელიც მომღერალთა გუნდს ყურადღებით ეპყრობა და კონცერტებს ხალისით ესწრება.

იშრომეთ ბატონებო, იშრომეთ და გზა ელიანი, რომელიც ყოველ ქართულ საქმეს თანსდევს, თანდათანობით გაიკაფება და ძალა მ ძნელბული, რომელიც „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს", გწამდეთ, „ისევე გაიღვიძებს!.." **გუცა.**

## ქუთ. საად.-მამ. ბანკის რწმუნებულთა კრება.

**21 მაისს.**

კრება ამტკიცებს წინადღის კრების ოქმს.

ბ. **ევგ. ქუთათელაძე.** ეხლაც უნდა გავიმეორო ის, რაც არა ერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენი ანგარიშები კრების ერთი თვის წინად იბეჭდებოდეს. ანგარიშები გუშინ დაგვირიგეს და არც გასაკვირველია, თუ საკმაოთ გაცნობილი არა ვართ მასთან. ანგარიშის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ გამგეობას 15 ათასი მანეთი მეტი დაუხარჯავს, ვიდრე ნავარაუდევი იყო სმეტით. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრების კანდიდატების ხარჯი. მე ვფიქრობ ამ ხარჯის გაწევა მეტი იქნებოდა, რომ გამგეობას ყაირათი გამოეჩინა. თ-დ დგებუაძეს სამსახურიდან გასვლის გამო მიეცა საჩუქრათ—1500 მანეთი, მაგრამ იგივე დგებუაძე რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდა სამსახურში, ჯამაგირი წინანდელზე ბევრათ ნაკლები არ დაენიშნა. მაგრამ საჩუქარი მაინც მიეცა. მე ვფიქრობ ასეთ პირობებში საჩუქარის გაცემა მეტი იყო. გარდა ამისა მამულების გამგეებზე ითვლება მამულების გაუნაღდებელი შემოსავლის ფასი. ეს წესი ჩვენ დიდი ხანია დავგმეთ და არ მესმის რად არ ნებულობს გამგეობა, რომ შემოსავალს წლის დამლევამდის არ ყიდის.

ავანსებს უმატნიათ თითქმის 8000 მანეთით და თუ ამას იმ ჯამსაც მივუმატებთ, რომელიც მათ წლის განმავლობაში უნდა გადაეხადნათ, მაშინ დავინახავთ, რომ მოსამსახურეებს წაუღიათ 1911 წლის განმავლობაში 18.000 მან. ზედმეტი.

**თ-დი მექი ფალავა.** ჩვენი სუსტი მხარე, ამას მე არ ვმალავ, ესრედ წოდებული „ავანსებია". შარშანდელ კრების გადაწყვეტილება ასეთია—წინდაწინ წაღებული ფული მოსამსახურეთაგან უნდა დაფარულიყო მათი ჯამაგირის 15% დაკავებით, მაგრამ როცა ეს დადგენილება მოხდა, მაშინ გარდა 1 იანვრის 1911 წლ. ბალანსის ჯამისა მოსამსახურეებს ემართათ ფული, რომელიც ავანსებს მიემატათ. ამას გარდა ზოგი ერთ მოსამსახურეთა ვალი დეპეტორების ანგარიშში იყო მოთავსებული, ეს ფულიც ავანსებს მიემატა. ამით აიხსნება ავანსების მომატება.

ბ-ნ ქუთათელაძეს ეჭვი შემოაქვს, ვასრულებთ თუ არა კომიტეტის, მოწერილობას, რომ დავალიანებულ მოსამსახურეებს მათ ჯამაგირების 30%. უჭერთ ჩვენ საჯაროდ გამოვაცხადეთ რომ ამ დადგენილებას ვასრულებთ და თუ ბ-ნ ქუთათელაძეს ჰსურს მობძანდეს და წიგნები ნახოს. ეხლა გადავდივარ ზედამხედველი კომიტეტის შენიშვნებზე. ზედამხედველი კომიტეტი გვისაყვედურებს, რომ მოხსენება იურისკონსულტისა არა გვაქვს და ამიტომ დარწმუნებული არა ვართ რამდენად ნამდვილია ცნობები დარჩენილ მამულებში მოთავსებული. ჩემისა და გამგეობის მხრივ ვაცხადებ, რომ ცნობები ნამდვილია, ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ ანგარიში იურის-კონსულტისა გვიან გადავეცით ზედამხედველ კომიტეტს. ამის მიზეზი-კი ის არის, რომ ჩვენი ვექილი მეტად დატვირთულია საქმეებით.

იმასაც გვისაყვედურებს კომიტეტი, რატომ დროზე არ გადავიხადეთ ბათუმისა და ტფილისის მამულების შეტანი სახელმწიფო და ქალაქის გადასახადისა, რომელიც ჩვენთვის შარშანდლამდის არავის მოუთხოვია. როცა მოგვთხოვეს, კიდევაც გადავიხადეთ.

ბანკის მოწყობაზე ზედმეტად დახარჯულ ფულის — გაღება — თვით კომიტეტს მიაჩნია საჭიროდ, მხოლოდ იმას გვიწუნებს, რომ ჩვენ დაუკითხავად დახარჯეთ ეს ფულიო. ეს მართალია, მაგრამ ამას მოითხოვდა საქმის მსვლელობა.

დამფასებელ კომისიის წევრების კანდიდატებზე ზედ მეტი ხარჯის გაღება გამოიწვია ერთის მხრივ ტფილისის მამულების ხელ-მეორედ შეფასებამ და მეორე მხრივ იმ გარემოებამ, რომ ხშირად ქუთაისში არ არის საკმაო რიცხვი დამფასებლისა და ამიტომ იძულებული ვიყავით კანდიდატი მოგვეწვია.

შემდეგ ამისა თ-ი მექი ფალავა შეეხო სხვა შენიშვნებს ზედამხედველ კომიტეტისას.

**თ-დი ს. მიქელაძე** (ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი) თვითბ-მა ფალავამ აღნიშნა, რომ ბანკის ვექილს ბევრი საქმე აქვს და ამიტომ არც გასაკვირველია თუ საქმე წესიერად ვერ არის წარმართული. რაც შეეხება ვექილის მოხსენებას, იგი კომიტეტმა მიიღო კრების წინა დღეებში და ამიტომ დრო არ იყო შეესწორებინა საქმეებთან, ხოლო თვით ანგარიში ისეთი თვისებისაა რომ მის კონტროლი მეტად გაძნელებულია.

სხვა შენიშვნები ზედამხედველი კომიტეტისა თ-მა ს. მიქელაძემ დაადასტურა მრავალი საბუთებით და მოსაზრებით.

**თავმჯდომარე თ-დი დ. ნიჟარაძე.** ის რაც ითქვა აქამდის ფინანსიურს ანგარიშს არ ეხება. ამიტომ იქნება ინებოთ ჯერ ამ ანგარიშის დამტკიცება და მერე განაგრძოთ ბაასი გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებათა შესახებ.

**ალ. კრინიცკი.** ჩემის ფიქრით ეგ შეუძლებელია, რადგან ხსენებული მოხსენებანი ფინანსიურ ანგარიშს ეხებიან.

## გაზაფხულის ოცნება

გაზაფხულია. სულს არ ჰზარავს ყორნის ჩხავილი,
მიწის ხავერდზე კეკლუცობენ ვარდნი, იანი,
გაზაფხულია... და მეც გულში მიზის ყვავილი,
ნაზი ვით ლოცვა, ვით ვენერა სახე-მზიანი.

როცა ღამდება და სიჩუმე კვნესის უხმოთა,—
მწვანეთ შრიალში მესმის რაღაც ხმა იდუმალი,
სიყვარულისა ამბებს მღერის მეზღაპრე დროთა
და წინ მიდგება საუკუნეთ შვენება-ქალი.

მაგრამ როდესაც ტყეს შეაკრთობს პირველი სტვენა,—
იდუმალების მუქ უფსკრულში იკარგვის ისა,
ზეშთაგონებით ანათრთოლი დუმდება ენა,
მიწას ვშორდები... მავიწყდება ოცნება ცისა.

ო! ერთხელ ცხადად რომ მაჩვენა ჩემი ტრფიალი,
მაშინ თვით აზრი გაჰქრებოდა აღსასრულისა,
მაგრამ სიცრუით აღვსილია ყოფნის ფიალი,
და თვით სიცოცხლე—ზღაპარია სიყვარულისა!

**ნ. ჩხიკვაძე.**

**ვარ. ჭილაძე.** ჩვენ მივაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ მამულების გამგეების პირად ანგარიშზე ნუ ჩაიწერება გაუყიდავი მოსავალის ფასი და მოსავალი გაიყიდოს წლის დამლევამდე. რაც შეეხება ავანსებს, ჯამი ამ ფულისა როგორც გვიჩვენებს ამ წლის 1 მაისის ავანსი, ამ ფულს არა ეჭკლებია რა და ეს გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ მოსამსახურეები არ იხდიან თავის ვალს, რაც დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს იმათ და უფრო კი გამგეობას.

ფინანსთა მინისტრის რწმუნებული **ა. სობრიევსკი.** ელიავას, რომელიც ბანკის აგენტი იყო ბათომში, განაგებდა ქალაქის და სხვა გადასახადებს ბათუმის ქალაქის გამგეობაში, არ შეიძლება არ სცოდნოდა, რა გადასახადი ჰქონდათ ბათუმის მამულებს და თუ მან ეს აცნობა ბანკის გამგეობას, უთუოდ მისთვის, რომ მეტი შემოსავალი ეჩვენებინა, სამაგიეროდ კი ბანკი ჯარიმას არ იხდიდა.

(შემდეგი იქნება)

## ავლევის სკოლა თავ. კონსტანტინე მიხეილის ძე ამირაჯიბისა. *)

**(გორის მაზრა)**

სოფ. ავლევში, როგორც მოეხსენება გაზ. „სახალხო გაზეთის" მკითხველთ, არსებობს მეურნეობა თავ. კ. მ. ამირაჯიბისა, რომელიც შესაფერისად არის მოწყობილი საჭირო იარაღ-მანქანით; ეს იარაღი—მოწყობილობა არის არა—მამა-პაპური, არამედ თანამედროვე ტეხნიკის შესაფერისი. ამ მანქან-იარაღების ხმარებამ მეურნეობაში აიძულა თავ. კ. მ. ამირაჯიბი გაემართა თავისთვის საჭირო სახელოსნოები, სადაც შეაკეთებდნენ ხოლმე იარაღ-მანქანას როგორც თვით მემამულე თავ. კ. მ. ამირაჯიბისას, ისე სხვა მეზობელ მემამულეთა. ამ სახელოსნოებს ხელმძღვანელობდა თვით თავ. კ. მ. ამირაჯიბი.

ჩვენში გაუმჯობესებულ იარაღმანქანების გავრცელების საქმემ ნათლად გამოარკვია, რომ მისი უუძლიერესი შემაფერხებელი მიზეზი იყო და არის არა ერთი და ორი, მაგრამ მათ შორის უმთავრესია: საქმის მცოდნე იაფ-ფასიან მუშათა და სათადარიგო ნაწილების უქონლობა; მეორე მიზეზი ამ ბოლო დროს ისე მძლავრად ხელს აღარ უცარავს ჩვენს მოწარმოე მეურნეთ, რადგანაც როგორც ქალაქებში, ისე პროვინციაში, მაგ. თელავში, გაიხსნა საწყობები, სადაც მეურნეს მეტ-ნაკლებად შეუძლიან იშოვნოს მანქანების სათადარიგო ნაწილები.

პირველი მიზეზი კი ისევ არის, და არცა მგონია, რომ მალე ავიცილოთ თავიდან: არა გვყანან მუშები, შესაფერისი პრაქტიკული მომზადებით,

თავ. კ. მ. ამირაჯიბმა თავის მეურნეობის დროს მეტად მწვავედ იგრძნო ეს გარემოება და იძულებული იყო ეზრუნა ამ გაჭირვების თავიდან ასაცილებლად. ამ ზრუნვამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო: მას ამ ხანად ჰყავს გაწვრთნილი მუშები, რომელნიც სავსებით ასრულებენ განათლებულ მეურნის სამეურნეო ბრძანებას.

მაგრამ თავ. კ. მ. ამირაჯიბი არ დაკმაყოფილდა მარტო თავის მეურნეობის ფარგალით. იგი სცდილობს ეხლა უფრო ფართოდ დააყენოს მცოდნე მუშების მომზადების საქმე. ამ მიზნით მან თავის სკოლასთან სოფ. ავლევში, დაარსა სამი სპეციალური განყოფილება: სადურგლო, სამჭედლო-საზეინკლო და სასოფლო-სამეურნეო. ამ სამ განყოფილებას განაგებენ სპეციალისტები.

*) იხ. დღევანდელი დამატება.

## სამაგალითო მამულიშვილის ხსოვნა

(ქართულ კათოლიკეთა მოძღვარი **მამა ივანე გვარამაძე—ვინმე მესხი**)

1831—1912 წ.

ნეკროლოგი.

გუშინ ახალციხიდან მოსულმა და „სახალხო გაზეთში" მოთავსებულმა დეპეშამ სამგლოვიარო ამბავი მოგვიტანა: იქ გარდაიცვალა ლიტერატურაში და განსაკუთრებით ცხოვრებაში კარგად ცნობილი სამაგალითო მოძღვარი და მამულიშვილი მამა ივანე გვარამაძე. კათოლიკეთა განსვენებული მოძღვარი-ივანე თითით საჩვენებელი მაგალითი იყო იმისი, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს ნამდვილი დანიშნულება ქრისტეს უკვდავ მცნებათა მქადაგებლისა, დაკავშირებული ნამდვილსავე ადამიანობის და მამულიშვილობის შეგნებასთან. ვისაც კი გადუკითხავს მ. ივანეს მრავალ-გვარი, სათნო გრძნობით გამთბარი და მამულიშვილურ გულწრფელ სიყვარულით გამსჭვალული ნაწერები და განსაკუთრებით ვინც რომ ცოტათი ახლოს დაჰკვირვებია იმის უზადო, ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობა—საქმიანობას, იმ დიდ როლს, რომელსაც ის, ვით პირველი პიონერი, თამაშობდა სამცხე-საათაბაგოს მცხოვრებთა და კრებად ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში,—არ შეუძლიან მოწიწებით თავი არ მოიხაროს ამ უმწიკვლო მოძღვარ—ადამიანის ხსოვნის წინაშე.

დიახ, მ. ივანე მესხი პირველ პიონერად უნდა ჩაითვალოს, როგორც საზოგადოდ, აგრეთვე განსაკუთრებით ახალციხის მაზრის ქართველ კათოლიკეთა შორის ეროვნულ იდეის ჯეროვნულად გაცხოველებაში. საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე, უტყუარის საბუთებით აღჭურვილი, ის ცოცხალი სიტყვა ქადაგებით, თუ მწერლობით მედგრად და თავ გამოდებით იცავდა ერთხელვე გარკვეულ ეროვნულ იდეიას. თვით განსვენებულნი ცნობილი: ისტორიკოსი პატრი თამარაშვილი, დომინიკე და სხ.—მ. ივანეს მოძღვრების ნიჭიერ მიმდევრებად უნდა ჩაითვალონ.

ჯერ კიდევ ჩვენ დროშიც ბევრი ერთმანეთში რევს, ან თუ ვერ არკვევს ეროვნულ და სარწმუნოებრივ ცნებებს და ადვილი წარმოსადგენია რამოდენი შრომა-ენერგიის დახარჯვა დასჭირდებოდა ამ ნამდვილ მოძღვარს, 40—50 წლის წინედ, რომ თვისი თანამორწმუნენი მიეყვანა იმ თვით შეგნებამდის, რასაც დღეს ჩვენა ვხედავთ თუნდა ახალციხის მაზრის ქართველ კათოლიკეთა შორის. უწინ ქართველ კათოლიკესთვის რომ გეკითხათ ვინაობა გვარტომობით, თითქმის ვერავის ათქმევინებდით, რომ ის ქართველი იყო, არამედ „მე ფრანგი, კათოლიკე ვარო". მ. ივანე სულ იმას უთქვეფავდა გონებაში თავის თანამოძმეთ, რომ ჩვენ მხოლოდ სარწმუნოებით ვართ კათოლიკები, გვარტომობით კი ქართველებიო; ჩვენი სამშობლო ქვეყანა საქართველოა, ჩვენი დედა-ენა—ქართულია; როგორც მაშინ ბევრს ეგონა,—სომხებთან, მეზობლურ განწყობილების გარდა, არავითარი კავშირი არა გვაქვს, არავითარი ნათესაობა, ამიტომ ყველა კათოლიკე მოვალეა შეიტყოს და შეისწავლოს თავისი მამა-პაპათა ვინაობა, სამშობლო ქვეყანა, მისი ისტორია, მწიგნობრობა და სხ. სომეხ კათოლიკეთ იმიტომ ვიწოდებით, რომ იმით კათოლიკეთა ტიბიკონზე ვდგევართო"... სწორედ ესრეთ ქადაგების ნაყოფია, თუ, ჩვენ დროში, უკვე ქართლ. კათოლიკეთა უმრავლესობა გამსჭვალულია ნამდვილ მამულიშვილურის გრძნობით. ივანეს დაუცხრომელს დარდს და გოდებას ის შეადგენდა, რომ მესხეთში და ჯავახეთში რამენაირად აღედგინა უწინდებურად ქართული ენა, რაიც ჟამთა ვითარების გამო დაქვეითებულიყო და თანდათან მივიწყებას ეძლეოდა. ამ უბედურების ასაცდენ საშუალებად მ. ივანე სთვლიდა გავრცელებას წერა-კითხვისა—განათლებისა; ქართულ წიგნების მოფენას, ცოცხალი სიტყვით ქადაგებას,—რასაც ის თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, პრაქტიკულად ახორციელებდა. თავის მოღვაწეობის დროს მ. ივანემ დიდი პირადი ტანჯვა-წვალება და უსიამოვნება განიცადა, სხვათა შორის, სომეხ კათოლიკე სამღვდელოებისაგანაც, რომელნიც მასში დიდ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ და იმდენად ვეღარ ახერხებდნენ ქართველ კათოლიკეთა თავისკენ გადაბირებას. მართლის მოყვარეს, გულწრფელს, კამათში პირდაპირს და ულმობელს, თავის ჭეშმარიტ რწმენის დასაცველად არა ერთხელ უხდებოდა სასტიკი პოლემიკა უწინდელ სომხურ გაზეთებთანაც: „მეღუჰაიოსტანთან", „მშაკთან", „არგონავტთან", მხიტარისტებთან და სხვ., მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგენი არა იშვიათად მ. ივანეს მოღვაწეობას სხვა სახელით აგონებდნენ ხოლმე მთავრობასაც.

მ. ივანე გვარამაძე დაიბადა ქ. ახალციხეში 15 ოქტომბერს 1831 წ. *) მას პატარაობიდანვე ეტყობოდა შესამჩნევი ნიჭი და ცნობის მოყვარეობა და ამიტომაც, თუმცა ქონებრივად ხელ-მოკლე იყო, არ დაკმაყოფილდა იმ მცირედი ცოდნით რაიც მიიღო ადგილობრივ ახალციხის სასწავლებელში და მოახერხა გამგზავრებულიყო სტამბოლში. იქ სწავლა - მეცადინეობასთან ერთად, დაიწყო ჩხრეკა-ძიება ისტორიულ საბუთებისა; ზედ-მიწევნით შეისწავლა, უცხო ენებთან ერთად—სომხურიც; დააკვირდა ბევრ დბეჩავებულ ერთა ყოფა-მდგომარეობას, იქვე გაუცხოველდა სამშობლო მხარის სიყვარული და გადასწყვიტა მის კეთილდღეობისათვის შეეწირა თავისი ძალ-ღონე. თავის მიზნის მისახწევად მან არჩია მღვდლად კურთხეულიყო.

მ. ივანე პირველად მსახურებდა—და მოღვაწეობდა სამცხე-საათაბაგოს მივარდნილ სოფლებში (ხიზაბავრას, ივლიტას და სხ.), თვით მეტად სადა და შევიწროებულ ცხოვრებას ეწეოდა და მთელი თვისი გონებრივ ქონებრივ სახსართ ახმარებდა თვისი სამწყსოს გაადამიანებას; ამიტომაც, სადაც კი იმას მოხდომია მოღვაწეობა, ყველგან დღესაც მადლობით იხსენიებენ მოძღვარ ივანეს სახელს. 1884 წლიდან მ. ივანე გადასახლდა ქ. ახალციხეს, სადაც უფრო მეტი ნაყოფიერება დაეტყო იმის საქმის უნარს. მგონი არ იყო არც ერთი ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმე, დაღხინება, თუ დაავადება, რომ მამა ივანეს, სამღვდელო კათედრიდგან მაინც, ხმა არ ამოეღო და თავისებურად არ განემარტა, რაიც ღრმად აღიბეჭდებოდა მსმენელთა გონებაში.

მ. ივანეს ბევრი ნაწერები (უფრო ისტორიულ ხასიათისა) გაფანტულია მრავალ ჩვენ პერიოდულ გამოცემებში: გაზ. „დროებაში", „ცისკარში", „ივერიაში", „კვალში", „ცნობ. ფურცელში", „კრებულში", „მწყემსში" და სხ. როგორც ვსთქვით, მ. ივანემ ზედმიწევნით იცოდა ჩვენი ისტორიული წარსული, რომლის კვლევა-ძიებაში იყო ერთთავად, ამისთვისვე შეკრებილი ჰქონდა აუარებელი მასალა: ძველი ნაწერი წიგნები, ქართული ფულები, სხვა და სხვა ნივთები, ადამიანის სხეულის გაქვავებული ნაწილები და სხ. იგი ამ მიზნისთვის თითქმის ყოველ ზაფხულობით მოგზაურობდა მთელ ახალციხის მაზრაში, ათვალიერებდა ტაძრებს და საზოგადოდ ისტორიულ ნაშთებს და აქუჩებდა საჭირო მასალას. იმან დაგვიტოვა მრავალი საყურადღებო თხზულებანი: „მოკლე ქართლის ცხოვრება", „ლექსიკონი ფრანგულიდან ქართულად", გამოცემული პარიზის აკადემიისაგან; „სახელმძღვანელო სამესხეთოს ერთა"; „რეტორიკა"; „არქეოლოგიური მოგზაურობა"; „ისტორიული წერილები"; „სიბრძნე კაცობრივი", თარგ. სომხ. და გამოც. სტამბოლში; „საზოგადო გეოგრაფია", გამოც. იქვე; „მეურნეობა ძველ საქართველოში"; „მშაკს" და სომხეთა მზა პასუხი"; „სხვა და სხვა ისტორიული წერილები"—მესხეთ—ჯავახეთის შესახებ; „წმინდა ნინო" და მის დროს ღირსშესანიშნავი ცნობანი და მრავალი სხვა ნაწერები, ვინმე მესხისგანვე შეუკრებელია და დაწერილი ქართულ ლექსიკონისთვის 13 ათასი ისეთი ქართული სიტყვა, რასაც ვერ ნახავთ საბა ორბელიანის და ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. არა მცირედი ამაგი მიუძღვის სახალხო სიტყვიერების [illegible] შიაც. თვის მოგზაურობის დროს, მან შეკრიბა მრავალი [illegible] ლებანი, ზღაპრები, შაირები, ლეგენდები და სხ.

ამ ბოლო წლებში კი, ავადმყოფობის გამო, საშუალებას მოკლებული იყო განეგრძო თვისი მადლიანი საქმე.

მოკლედ რომა ვსთქვათ, ესრეთი იყო ეს ჩუმი, თანამემამულეთათვის თავგამოდებული და მეტად ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე. საუკუნოდ დარჩება ხსენება სახელისა ამ სამაგალითო მოძღვარისა და ნამდვილ მამულიშვილისა.

**გ. ახალციხელი.**

*) ზოგიერთ ცნობებით ჩვენ ვისარგებლეთ ზ. ჭიჭინაძის-მიერ შედგენილ და გამოცემულ 1904 წელში მ. ივ. გვარამაძის ბიოგრაფიით.

## სროლა ჰუნგრეთის პარლამენტში და დეპუტატის თავის მოკვლა

**დეპეშები.**

ჰუნგრეთის პალატაში ამ ჟამად სამხედრო რეფორმის კანონის მიღებას ჰლამობენ. პრეზიდენტმა ტისმა გადასწყვიტა, ოპოზიციის დეპუტატთა ჯიუტობა გაეტეხნა და კანონ-პროექტი რაც შეიძლება მალე მიეღებინებინა. ამიტომ სხდომები დანიშნა დილა-საღამოს. ოპოზიციასა და უმრავლესობას დიდი ბრძოლა ჰქონდათ და ბევრი დეპუტატიც გააძევეს.

**ბუდაპეშტი.** სხდომის დაწყებამდე თავმჯდომარე ტისას განკარგულებით პოლიციელებმა გაიყვანეს დარბაზიდან ოპოზიციის დეპუტატები, რომელნიც ამ ბოლოს დროს იყვნენ გამორიცხულნი. მემარცხენეებმა ტაშისცემით გააცილეს განდევნილნი, როდესაც დარბაზში ტისა შემოვიდა; მემარცხენეებმა დიდი ხმაურობა და სტვენა ასტეხეს. ტისამ სხდომა შესწყვიტა,

როდესაც ტისამ სხდომა განაახლა, განდევნილი დეპუტატი ოპოსიციისა იული კოვაჩი პრესის წარმომადგენელთა ლოჟაში შევარდა, იქიდან დარბაზში გადავიდა და ტისას სამჯერ ესროლა რევოლვერი. შემდეგ თვით დაიცა რამდენიმეჯერმე რევოლვერი.

თავმჯდ. ტისამ წამოიძახა: „შეუდგეთ საგანთა განხილვას, ეგ ამბავი სისულელეა; მან თვითვე დაჰგმო თავისი თავიო".

კოვაჩი გარდაიცვალა.

როდესაც კოვაჩმა თავმჯდომარეს ესროლა, შემდეგ თვითონაც დაიცა რევოლვერი და სისხლში მოსვრილი დაეცა; მთავრობის პარტიის რამდენიმე დეპუტატი, რევოლვერებით გაექანა მისკენ და ესროლეს კიდეც. ასტყდა ყვირილი: „თავი დაანებეთ, ვერა ჰხედავთ, გარდაცვლილა კიდეცაო".

კოვაჩი წაასვენეს საავადმყოფოში და აპერაცია გაუკეთეს. როდესაც გონს მოვიდა, იკითხა, ტისა ცოცხალი არის თუ არაო? მე მისი მოკვლა არა მდომებია, მხოლოდ ძალადობისათვის ძალადობითვე უპასუხეო.

სხდომის დროს დარბაზიდან კიდევ მოუყვანიათ ოპოზიციის 22 დეპუტატი.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის „კორესპონდენც-ბიურო" იუწყება: ტყუილია, ვითომც განდევნილ დეპუტატებს პოლიცია უდიერად მოჰპყრობოდესო. იგი ძალიან ზრდილობიანად იქცეოდა და მხოლოდ მხარზე დაადებდა ხოლმე ხელს უკიდურეს შემთხვევაშიო. ამიტომ უსაფუძვლოა ხმები, ვითომც პოლიციელებს ხელი ეკრათ ვისთვისმეო.

## ჩინეთის რესპუბლიკა

**დეპეშები.**

**ლხასა.** აქ გარემოცულ გარნიზონს გარდა, ტიბეტიდან ყველა ჩინელი განდევნეს.

**ბერლინი.** კალკუტიდან მოსულ ცნობების მიხედვით, დალაი-ლამა ლხასაში დაბრუნდება ივნისში.

**ლონდონი.** გრეიმ ჩინეთის სესხის გამო ილაპარაკა საზოგადოებათა პალატაში. გრეიმ განაცხადა: მთავრობამ სესხის განხორციელება მიანდო გონკონგ-შანჰაის ბანკსა. ინგლისს არა ჰსურს ჩინეთის გაჭირვებულ მდგომარეობით ისარგებლოსო. ძალიან კარგი იქნებოდა, ჩინეთს უსესხოდ რომ გაეძლო.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

**დეპეშები**

**რომი.** „სტეფანის სააგენტოს" სიტყვით, საიდ-იდრისის მიმხრეები აჯანყებულან. მათ მიმხრობიან სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემებიც. ებზეში დაბანაკებული ოსმალნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. რაზმშიაც უთანხმოება ჩამოვარდნილა. აფიცრები მოითხოვენ, დავმორჩილდეთო.

**ბენგაზი.** იტალიელთა ჰაეროპლანმა ოსმალთა ბანაკს გადაუარა და რამდენიმე ყუმბარა ესროლა.

**ნეაპოლი.** მეფე-დედოფალმა დაათვალიერეს სავადმყოფოები და დაწესებულებანი, სადაც ოსმალეთიდან განდევნილი იტალიელები არიან დაბინავებული.

## სპარსეთის ამბები

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**თავრიზი.** შაჰსევანებმა გუშინ სერაბს ახლო მდებარე სოფლები ყიზილჩაჩი და ბარისტი ააწიოკეს. სოფელ კოშანბეკის.

მახლობლად შეტაკება მოუვიდათ მთავრობის მხედრებთან. შაჰსევენებისათვის 4 კაცი მოუკლავთ. სერაბის გუბერნატორი ხელმეორედ სთხოვს დახმარებას შუჯა-უდ-დოულესა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**ს ა ზ ღ ვ ა რ-გ ა რ ე დ**

26 მაისი.

**გაფიცვები.**

**ლონდონი.** სატრანსპორტო მუშების ნაციონალურ კავშირის კომიტეტს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა. ბენტილეტს განუცხადებია, თუ ჯეროვან გარანტიას არ მოგვცემთ 25 მაისს საყოველთაო გაფიცვას გამოვაცხადებთო.

ლოიდ-ჯორჯს დამქირავებლებთანა და მუშებთან მოლაპარაკება ჰქონია. ამბობენ, ამ მოლაპარაკებას გაფიცვის გათავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსო.

**მადრიდი.** ოვიედოს გუბერნატორი იუწყება, ასტურის მთამადანთა მუშების გაფიცვა გათავდაო.

**თოფის წამლის აფეთქება.**

**ვენა.** დილის ცხრა საათზე ფინერნეიშტადში 15 ათასი ფუთი თოფის წამალი აფეთქდა. მთლად გაცამტვერდა საწყობის სადგომი. კერძო ცნობებით, 30 კაცი დაღუპულა, უმთავრესად მუშები და ჯარის-კაცები. დაშავებულა ასი კაცა. ჰაერი ისეთის სიძლიერით შეირყა, რომ ბევრგან ფანჯრები ჩამსხვრეულა.

აფეთქების ხმა 50 ვერსზე გაუგონიათ.

აფეთქების დროს „ვოლნო ოპრედელიაიუშჩი“ მიდიოდა თურმე ცხენით და 100 ნაბიჯზე გადაუსროლია აფეთქების ძალას და იქვე მოუკლავს.

აფეთქებას სკოლის შენობაც დაუზიანებია და რამდენიმე მოწაფე დაუშავებია.

აფეთქება, სეისმო გრაფის აპარატების ჩვენებით, 8 საათსა და 21 წუთზე მომხდარა.

**სათადარიგოთა გაწვევა ოსმალეთში.**

**ვენა.** სტამბოლიდან იტყობინებიან, მთელ ოსმალეთში სათადარიგო ჯარისკაცებს აგროვებენო. სამხედრო სამინისტრო ძალიან ემზადება თურმე სმირნის ნაპირთა დასაცავადა, სმირნას გაგზავნეს სატახტო ქალაქის დივიზია, და მასკისორი და ანატოლიის სამი დივიზია.

**სროლა ბულგარეთის საზღვარზე.**

**სოფია.** სამი დღის განმავლობაში ბულგარეთ-ოსმალეთის საზღვარზე სროლა არ შეწყვეტილა, ოსმალებისათვის რამდენიმე მოუკლავთ და დაუჭრიათ. სროლა ატეხილა გამოქცეულთა, გამო, რომელთაც ბულგარეთში გადასვლა ჰსურდათ.

**რ უ ს ე თ ი.**

**მაღაროებში.**

**ბედაიბო.** ლენზოტოს მადნებში საქმის ვითარება არ შეცვლილა. სამრეწველოების გამგეობას მუშებისათვის სამუშაოზე დადგომისათვის ვალად მაისის 24 დაენიშნა, მაგრამ გენერალ-გუბერნატორმა ხელფასის საკითხის დაწვრილებით გამოკვლევა მოინდომა და ვადა 28 მაისამდე გაადიდა.

დღეს ხელფასის რაოდენობა გამოაცხადეს იმის მიხედვით, ვისთვის რამდენი მოუმატებია გამგეობას.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენო ჟურნალ „განათლების“ რედაქტორს ლ. ბოცვაძეს, რომელმაც თავისი ხარჯით და შრომით გამოსცა ჩემი პოემა „ქალი ეთერი“ ჩემს სასარგებლოდ. აგრეთვე ვ. ბოცვაძეს, ნ. აკოფოვისას, ნ. ბაქრაძეს, ე. ჯანდიერს, ლ. ქუთათელაძეს, თ. ლომაურს, თ. კარბელაშვილს, ნ. ლომაურს, ვ. ბურჯანაძეს. მ. რამიშვილს, ი. კვიცარიძეს, ს. თოიძეს და ბ. ხერხეულიძეს, რომელთაც მიიღეს შრომა და ზემოხსენებული წიგნის რამდენ-დამდენიმე ცალი გაჰყიდეს ჩემს სასარგებლოდ. **ი. ევდოშვილი.**

**ქ. ჩორნი-იარი.**

## ჩვენი ფოსტა

**დ. კ-ს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**(ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო).**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6 ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე- კლ. ვაგ, ან მე- , დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-II ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7 8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე- და მე- კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 — II კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № , საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 5 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-II ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## განცხადებანი

**მულენ-ელექტრიკის** დირექცია ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ საზაფხულო განყოფილებებში სეირნობათა გახსნის გამო: 27 მაისს, 2, 3 და 10 ივნისს—ის პირნი, რომელნიც სინემატოგრაფის ბილეთები აქვთ—ბაღში შესასვლელ ფასს არ იხდიან. სეირნობას და სინემატოგრაფს საერთო არაფერი აქვთ: სეირნობის ბილეთებს ძალა არა აქვთ სინემატოგრაფის სანახავად და აგრეთვე სინემატოგრაფის ბილეთებს სეირნობაზეც არა აქვთ ძალა. სეირნობის დროს სინემატოგრაფი მოთავსებულია ბაღში საზოგადო კარების ხელ-მარცხნივ. (1. 297 1)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავასართვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** ,—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1074.57)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დეთა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**

(0—1253—62)

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. კირტუმოვი.**

(თ. 1037.5.)

**გამოცდილი** მასწავლებელ ქალვაჟთა ჯგუფი, რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, საგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად,** აფთიაქის სამოწაფედ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

**მიმართეთ:** 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის. 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი), № 9, კოლიუჯნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—12 5—3

**ქალაქის** სააუქციონო **ზალა.** (ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად** და აგრეთვე **შესანახად.** მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20ი, ხოლო შენა- 9—3 ფასად აიღებს 2%-სა. დღისით ხვის საათამდის. (25.421.8)

## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი, ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.1231.6)

## ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

(წ.—1131—68)

## შეუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან; კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუკმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „**ჩვენი გემო**“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვონ ყველგან „**ჩვენი გემო**“ და არ აურიონ ის მის მსგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდებნი ქუჩა სახლი № 6. (20.1096.5)



**„შ რ ო მ ი ს“ სტამბაში და წერა-კითხვის საზოგადოებაში იყიდება იუმორ. ჟურნალების კომპლექტები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | „ეშმაკის მათრახი“, 1907 წ. 13 ნომერი | 1 მ. 30 |
| 2. | „ეშმაკის მათრახი“, 1908 წ. 34 ნომერი | 2 „ — |
| | იგივე მშვენიერის ყდით | 3 „ — |
| 3. | „მათრახი-სალამური“, 1909 წ. ნომერი | 2 „ — |
| | იგივე ყდით | 3 „ — |
| 4. | „მათრახი და სალამური“, 1910 წ. 34 ნომერი | 2 „ 50 |
| | იგივე ყდით | 3 „ 50 |
| 5. | „ალმანახები“, 1909 წ. გამოც.: „აკაკი“, „ეშმაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ტარტაროზი“ და სხ. სულ 10 ნომერი | — 50 |

6. „სალამური“, 1911 წ. გამოც. 20 ნომ. 1 მ., 7. „ფაუსტი“ გიოტესი, თარგ. მირიანაშვილისა 1 მ. 8. „კოოპერაცია“, კანდელაკისა 30 კ.

ვინც გამოიწერს „შრომის“ სტამბიდან თითოეულს არა ნაკლებ 5 ცალისა, დაეთმობა 25 პროც. ადრესი; Тифлисъ, Типографія „Шрома“, Теофилу Болквадзе, და აგრეთვე О—ва распространенія грамотности. (5.287.3)

## იმერული შამპანიური ღვინოები,

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში, **„კ ო ლ ხ ი დ ა“ და „თ ა მ ა რ ა“**

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და

2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.1166.18)

**ნებადართულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სამკურნალო საბჭოს მიერ საქმის № 9696 1907.**

**„სპერმატინ“-ი** ი. ნ. ივანოვის საფარმაცევტო ხელსაწყოს ლაბორატორიისა, მოსკოვში.

**სპერმატინი** შედგენილია ფრანგ პროფ. ბროუნ-სეკარის მიერ, იგი მოქმედებს სისხლის შემადგენლობაზე, აახლებს მას, მავნებელ ნაწილებიდან სწმენდს. **სპერმატინი** უებარია მოხუც. დაჩაჩანაკების დროს სისხლ-ნაკლებულ მძიმე ავადმყოფ., ნერვებ. აშლილ., გონებრივ და სხეულის მოქანცულ., სქესობრ. მოჭარბებულობას, ჯანის გატეხას, დამბალ ციების, ჩუკუნების შედეგის, ხერხ. ტვინ. გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნისა, წყალმანკისა, გულის ცემისა, შაქრის ავადმყ., ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, ყაზბობისა.

ი. ნ. ივანოვს **სპერმატინისთვის** აურაცხელი სამადლობელი წერილი აქვს მიღებული. გაუფრთხილდით სიყალბეს. ბროშურებს უფასოდ ვგზავნით. 1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ.—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში ერთად-ერთ წარმომადგენელთან ი. გ. ოქროპირიძესთან, ტფილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა № 6, ეზოში. (3—1286—2)

**სასწრაფო დეპეშა ამერიკიდან. გადაუჯდომლად ამერიკაში.**

**კოველიდან ამერიკამდე 12 დღეში.** საუკეთესო და უსწრაფესი საფოსტო-სახალხო გემები გემთ-ამშენებ ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი: უმავთულო ტელეგრაფი, ელექტრონის განათება, ჰაერის საწმენდი და სხვა, ფართე სასადილო, ჭამა დღეში ოთხჯერ, მუსულმანთათვის შესაფერი საჭმელები, საკუთარი ფართე ტახტები, მგზავრთა სურვილისამებრ ცალკე კაიუტები, ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები უმავთულო ტელეგრაფით, მუსიკა და მთელი მოგზაურობის დროს გართობა, გაზეთები და ბიბლიოთეკა.

**საზღვარ-გარეთის პასპორტი ღირს 17 მ. 50 კ.** ჩვეულებრივ პასპორტს და სოფლის საზოგადოების განაჩენს, საბოქაულოს უფროსის მიერ შემოწმებულს, რომ საზღვარ-გარედ წასასვლელად არა გაბრკოლებთრა. თუ პასპორტს დააბრუნებთ ფული უზრუნველყოფილია.

**საგანგებო ცნობა.** ვიწვევთ ინტელიგენტ აგენტებს ჯამაგირით ან საკომისიო ჯილდოთი.

ყოველგვარს ცნობებს ვიძლევი უფასოდ, **კოველის სააგენტო აღმოსავლეთ-აზიის გემთ მიმოსვლისა.**

**გ. კოველი,** ვოლინის გუბერნია.

Метцль 81317. (4.1267.2)

## გორის საზოგადოების საურთიერთო ნდობის ბანკი

აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა მორიგი წლიური კრება დანიშნულია ამ წლის 10 ივნისს, ქ. გორში, შუადღის 11 საათზე, ბანკის სადგომში.

**გ ა ნ ს ა ხ ი ლ ვ ე ლ ი ს ა გ ნ ე ბ ი:**

1. 1911 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება; 2. 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 3. 911 წლის მოგების განაწილება; 4. არჩევნები სამი საბჭოს წევრისა ა. კ. შეპფის და ა. პ. შიხინოვის ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუთავდათ და მ. ყ. ზაალიშვილის ნაცვლად, რომელიც ვადამდე გავიდა. 5. არჩევანი გამგეობის წევრის გ. თ. კაპანაძის ნაცვლად, რომელსაც ვადა გაუთავდა. 6. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამი კანდიდატის, რომელნიც შეამოწმებენ 1912 წლის ანგარიშებს. 7. საზოგადოების საბჭოს, მიმღები კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ჯილდოს შესახებ საკითხის გამორკვევა და მის რაოდენობის გადაწყვეტა. 8. საზოგადოების საბჭოს მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ. 9. საბჭოს 911 წელს მოქმედების შესახებ მოხსენება საბჭოსავე თავმჯდომარის მიერ. 2.—1288—2.

**ხელოვნურად შეზავებული სამკურნალო და ხილეულობის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ[სა].**

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში — პუშკინის ქუჩა № 6.**

(25.1160.21)

მაღაზიისა და სახელოსნოს

## საფუძვლიან გადაკეთების გამო საფარიანცისა და ტერ-საკაოვის პარიზულ მზა ტანისამოსის მაღაზიაში

დანიშნულია 21 მაისიდან 1912 წ. არაჩვეულებრივის ფას დაკლებით

## უდიდესი იაფი ვაჭრობა.

ვაჭრობის დათავების შემდეგ **დროებით** მაღაზია დაიკეტება.

გოლოვინის პროსპექტი, სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 258.** (3.467.2)